თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4530028

ნომერი: AR1685071

თარიღი : 31.05.2019

გაცემის თარიღი : 05.06.2019

გაცნობის თარიღი : 05.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20თ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭაღიაშვილი პ/ნ 47001017860
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 28 ბ. 79

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1685071 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.10.13.010.089; საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას. პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 06 მაისს #AR1679388 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა მოქალაქე ვასილ ცომაიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ლევან გოთუას ქუჩა, # 20-ში საკ. კოდი #01.10.13.010.089;

(თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება არ მომხადარა.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.
დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით და შესაბამისად სამსახურის მიერ 2012-2019 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო, ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.